<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ასი ათასი ქართველი მოწამის სახელობის ქუჩის გაგრძელების, მიხა ხელაშვილის ქუჩისთვის და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ასი ათასი ქართველი მოწამის I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, გაგრძელდეს ასი ათასი ქართველი მოწამის სახელობის ქუჩა, მიხა ხელაშვილის ქუჩას და მასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ასი ათასი ქართველი მოწამის I და II შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

ძაღებნი სიტყვა
ახი ათახი მონამის ქუჩა
თავდადებულის ქუჩა
დემეტრე თავდადებულის ქუჩა
ფარნავაზ მეფის გამზირი
აქვითი ხელაძის ქუჩა
ზვიად ბალაძეების ქუჩა
დავით აღმაშენებლის ხეივანი
ვიქტორ ნიბაძის ქუჩა
NAPR
1 : 2257
გეოგრაფიული (გრძედი,განე

ქალაქ თბილისის მუნიციპალური

საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ

გიორგი ტყემალაძეს

მიხა ხელაშვილის საზოგადოების

განცხადება

მოგეხსენებათ, რომ 2022 წლის 10 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა სახალხო პოეტს მიხა ხელაშვილს მიანიჭა საქართველოს ეროვნული გმირის წოდება და ეროვნული გმირის ორდენით დააჯილდოვა. მიხა ხელაშვილი იყო 1918-1925 წლებში ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელი , პოეტი, დიაკვანი და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პატრიოტი. 25 წლის ასაკში ბოლშევიკური რეჟიმის მიერ მოღალატეობრივად მოკლული და თითქმის 70 წლის მანძილზე აკრძალული და დევნილი. მისი პოეზია და ცხოვრება გზამკვლევია ყველა ქართველისათვის და მეტადრე ახალგაზრდობისათვის.

მისი ღვაწლის დასაფასებლად, მოგმართავთ თხოვნით, ქალაქ თბილისის ერთ-ერთ თვალსაჩინო ქუჩას მიენიჭოს ეროვნული გმირის, მიხა ხელაშვილის სახელი.

მიხა ხელაშვილის საზოგადოების

დირექტორი: ეროვნული უგრელიძე

21.02.2023 წ.

მიხა ხელაშვილის საზოგადოება
Mikha Khelashvili society
404664298

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **ბ/16667122**
თარიღი: **24/05/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი 2023 წლის 22 თებერვლის საქმე #10/032305385-03 დაკავშირებით.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორიები და გამოგვიგზავნოთ სიტუაციური ნახაზები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე